


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბოტიც ბეჭდუბი სიფყუას, ცყდილებით და ჭბბბბით ბუბბის გაფანა ცყულა უჯარბისბბბაჟი უსაბაგლყსია.

დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 7 ივნისი, 2014 წელი.
№109 (7490)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ვინ დასოცა პაატა ქარლაპა და ზაურ ცინდელიანი?



მოკალაღე მიზისტების ხელწერა!

სელიდან გაშვებული შესაძლებლობები

ნაკოლეონ ქარქაზაძე:

აფხაზეთში მოღვაწე ქართველებს ახალი ხელისუფლებას არაფერს გვეკითხება

რასმუსენი:


ნატოში გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებით ჯერ არ მიუღიათ

წინასწარჩვენო სარკინიგზო ბარჩევები

სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკური ნება ხელისუფლებას არა აქვს!

რატომ არ კითხულობს პროფესორი აკაკის „გამზრდელს“?!

ღარილის ხეობიდან ეუფები გახიზნეს




ახლოა ბრაზილიამდე



ლენარდო

„და ვინჩიმ მასწავლა ღროის სიღრმიდან ფიქრი და უემეცნების სიყვარული“...



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებან ვერ ნახავ!..

ასლა მალი უნდა დაგაგვიფიქროს



არაფერი არ არის იმაზე საამაყო ჩემთვის, რომ ვიდგე თქვენ წინაშე, როგორც ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, — ასე მითარბა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ იმ ქართველ სამხედროებს, რომლებიც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრნენ.

ქართველი სამხედროების ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში გამგზავრების ცერემონია ვაზიანის მე-4 მექანიზებული ბრიგადაში გაიმართა. გაცი-

ლების ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში რენო სალენსი და ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი დაესწრნენ.

საქართველოს შეიარაღებული ძალები ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სამშვიდობო მისიაში პირველად ერთ-

ვება. სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობას ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ერთი ასეულის სამხედრო მოსამსახურეები მიიღებენ. მათ საერთაშორისო ოპერაციაში მონაწილეობის გამოცდილება უკვე აქვთ, დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სამხედრო მოსამსახურეები ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქაბულში, ბაზა ფენიქსზე, ISAF-ის საერთაშორისო ოპერაციაში 6 თვის განმავლობაში მონაწილეობდნენ. ევროკავშირის მისიისთვის კი დამატებითი მომზადება მათ ეროვნულ-სასწავლო ცენტრ „კრნანისში“ გაიარეს, გადასროლის წინა ორთვიანი სწავლება ითვალისწინებდა პატრულირებას, საკონტროლო-გამტარი პუნქტების მონიტორინგს, ბაზის დაცვას და სამოქმედო არეალში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სწავლებაში ასევე ჩართული იყო ორი ფრანგი ოფიცერი.

ვლადიმერ პუტინი პიოტრ პოროშენკოს შეხვდა

საფრანგეთში, ნორმანდიაში, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის ახლადარჩეულ პრეზიდენტ პიოტრ პოროშენკოს შეხვდა.

საფრანგეთის ქალაქ ნორმანდიაში მსოფლიო ლიდერები გუშინ ნორმანდიის ბრძოლის 70 წლის იუბილეს აღსანიშნავად შეიკრიბნენ. საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის გარდა, ლონისძიებას აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეთ II და პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ესწრებოდნენ.

უცხოური მედიის ინფორმაციით, საფრანგეთში ჩასული რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკვე შეხვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერს დევიდ კემერონს და საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს. თუმცა მედიაში არ ხმაურდება ოლანდთან შეხვედრის დეტალები.

ამასთან, გაგრძელებული ინფორმაციით, დევიდ კემერონმა ვლადიმერ პუტინს პირისპირ შეხვედრის წინ ხელი არ ჩამოართვა.



მოკლადე მიუხატავს ხელწერა!

თავდაცვის მინისტრის დაზვერვის ოფიცრის პაატა ქარდავას გაუჩინარებისა და მკვლელობის საქმე გახსნილია. ამ საქმეზე ბრალდებული კუდ-ის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა, რომელიც ე.წ. ხურჩის ტერაქტის საქმეზე უკვე დაკავებულია. საქმეს იძიებს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო.

შამათავასთან ერთად საქმეში ფიგურირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი და ამჟამად ზუგდიდის გამგებლობის კანდიდატი თენგიზ გუნავა. შამათავას ბრალი უკვე წაუყენეს, თენგიზ გუნავა კი პაატა ქარდავას საქმეს შეითხროს უნოდებს და მომხდართან კავშირს უარყოფს. თავად ბრალი, რომელიც შამათავას წაუყენეს, უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

ეს არ არის ბოლო სისხლის სამართლის საქმე, რომელიც კუდ-ის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას მარჯვენა ხელი რომან შამათავა ფიგურირებს. როგორც For.ge-ს საგამოძიებო უწყებაში განუცხადეს, შამათავა და მისი კლანის ასევე ფიგურირებს რეინჯერ ცინდელიანის გატაცებისა და მკვლელობის საქმეში. ამავდროულად ინფორმაციით, შამათავას ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალი უახლოეს დღეებში დაუმიძიდება. For.ge-ს ინფორმაციით ცინდელიანი იგივე სცენარით მოკლეს, როგორც პაატა ქარდავა.

ბორკილდადებული და თვალეზობილი პაატა ქარდავა გადასვენეს „ნივის“ მარკის ავტომანქანაში, რომლითაც გადაიყვანეს ოზურგეთის რაიონის სოფელ შეკვეთილში, სადაც გადასცეს რომან შამათავას და მის თანამზრახველებს, ხოლო პაატა ქარდავას სარგებლობაში არსებული ავტომანქანა, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს თანამშრომლებმა კვალის არევის მიზნით ზუგდიდის რაი-

ონის სოფელ ხურჩაში დატოვეს. რომან შამათავამ და მისმა თანამზრახველებმა პაატა ქარდავა ბათუმში შავი ზღვის ნავთობადგომთან მიიყვანეს. რომან შამათავა დაკავებულ პაატა ქარდავას აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა და პარალელურად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. თავად ქარდავა კატეგორიულად უარყოფდა სეპარატისტებთან თანამშრომლობას.

„შამათავა ჩემი ძმისგან ითხოვდა, ელიარებინა, რომ თითქოსდა აფხაზების ჯაშუში იყო და მათი დავალებით მოქმედებდა. ალბათ, ამას თუ აღიარებდა, არ მოკლავდა და დააპატიმრებდა, მაგრამ ჩემმა ძმამ არ აღიარა ჯაშუშობა და განაჩენი გამოუტანა. თვითონ იყვნენ მოლაღატებნი და სხვას აბარებდნენ. ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ყურადღება აფხაზეთისკენ გადაგვეტანა, ყველა ზომები გამოვიყენეთ და დადასტურდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა. საქმე აღძრეს, გვატყუებდნენ, მიმდინარეობს ძიება და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალებს ვერ გავახსნაურებთ.“

შამათავას გარდა, ამ საქმეში იყო გუნავა და კიდევ ბევრი. გუნავა მეუბნებოდა, პაატა კარგი კაცი იყო, არავინ მასზე ხელს არ აღმართავდა, ამ დროს უკვე იცოდა, რომ პაატა მოკლული და ზღვაში გა-

შინ დახოსა პაატა ქარდავა და ზაურ ცინდელიანი?

ნილობაზე ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა. ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, ამ საქმის გამოძიება ჯერ კიდევ მისი მიზნების დროს დაიწყო. მისი თქმით, ასეთი საქმე ბევრია, რომელიც ბოლომდე იქნება მიყვანილი.

„ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ საქმე გვექონდა სისტემურ დანაშაულთან, ისეთ დანაშაულთან, როგორც იცა — ნაშობა, გაუპატიურება, არაადამიანური მოპყრობა, ბიზნესის დატერორება და ადამიანების გატაცება. ამ საქმეში ბრალდებულ პირებს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობაში ედებოთ ბრალი, რაც ძალიან სამწუხაროა.“

შამათავას გვარი უკავშირდება ჭუბურის მკვდრის, 27 წლის დავით ცინდელიანის გაუჩინარების ფაქტს. იგი 2008 წლის 16 აგვისტოს დააკავეს. ცინდელიანი სვანეთში რეინჯერად მუშაობდა, სასწრაფოდ ქუთაისში მეტყვევება შეეცდებოდა გამოიძახეს. ცინდელიანი იმერეთში მამასთან, ზაურ ცინდელიანთან ერთად გამგზავრდა, რომელიც ასევე სატყეოს თანამშრომელი იყო. უკვე შუა ქუთაისში ავტომანქანას, სადაც ცინდელიანი იხსდნენ, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები დაესხნენ თავს და დავით ცინდელიანი გაიტაცეს. მას შემდეგ, იგი აღარავინ უნახავს. ცინდელიანის მამა ზაურ ცინდელიანი აცხადებს, რომ მისი შვილი და-



© ზიიმი, რომელიც დიდხანს გაგვჩვენა

შინ ჯეჯილდება და რატომ!

30 მანის ბათუმში ქართული პოლიციის დღე პომპეზურად აღინიშნა. ქართული პოლიტიკის ვარსკვლავთცვენა ზღვისპირა ქალაქის ზღვის პირას, იმ ადგილას შედგა, სადაც ანბანის კოშკია აღმართული.

რომლებს პოლიციელის დღეს მიულოცავს და პირადად დააჯილდოვებს მოქმედ პოლიციელებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანებს.

ლონისძიებას ასევე ესწრებიან: საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ოფიციალური დელეგაციები

წევნება, სამაშველო, გასაბერი, საევაკუაციო ბალიშის გამოყენების დემონსტრირება.



ნი ლარი დაჯდა, ქალაქის ბიუჯეტისათვის მძიმე მტკივნეულ იქცა, მისი უმოქმედობის გამო. დღემდე მას დანიშნულება ვერა და ვერ მოუძებნეს.

ციები პარტიორი ქვეყნებიდან: ბელარუსიდან, ლატვიიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან. ოფიციალური წარმომადგენლების შემდეგ პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი სტუმრებთან ერთად დაათვალიერებენ საგამოფენო სივრცეს, სადაც შსს-ს დანაყოფებმა თავიანთი ავტოპარკი, ტექნიკა, იარაღები და აღჭურვილობა წარმოადგინეს.

ლომ წარმოადგინა მოძრავი ლაბორატორია და ადგილზე მოენწყობა ჰაბიტოსკოპიური (პიროვნების სახით ამოცნობა) და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის (თითის ანაბეჭდების აღება) დემონსტრირება, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა გამოფინა თოვლმავალი და სადეკონტამინაციო კარავი, სადაც წარმოდგენილია ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობა.

შეკრებილთა ყურადღება არ აკლდა ამ დღის მშვენებას ორ ბედაურსა და მათ მხედრებს. პოლიციელებს. ქართველი კაცის დამოკიდებულება ცხენის მიმართ განსაკუთრებულია. რაში იყო ქვეყნის დამცველების საიმედო მეგობარი. ძველ საქართველოში იჯახი, რომელსაც ცხენი ჰყავდა, არა მარტო შეძლებულად ითვლებოდა, არამედ პრესტიჟულადაც. საოცრად ლამაზები იყვნენ ცხენებიც და მათი მხედრებიც. ვისურვებდი ქართულ პოლიციას, რაც შეიძლება მეტი ცხენოსანი პატრული ჰყავდეს.



დებარეობის განსაზღვრით უზრუნველყოფს. „112“-ის ინოვაციური პროექტების შესახებ მონიტორზე წარმოდგენილია ანიმაციური ვიდეორგოლი. შსს-ს არქივმა წარმოადგინა სამუზეუმო ექსპონატები - პოლიციელის ოთხი ისტორიული ფორმა; ასევე, არქივის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმები, გამოცემული ჟურნალები და წიგნები.

პოლიციის დღეს დიდად იხალისეს პატარებმა, მათ არავინ უშლიდა საპატრულო მოტოციკლებზე და მინი თუ „შკოდას“ ტიპის საპატრულო მანქანების სა-

„...ოფიციალურ საზეიმო ღონისძიებას დაესწრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც სამართალდაცველებს სიტყვით მიმართავს და პროფესიულ დღეს მიულოცავს. შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე თანამშ-

რომლებს პოლიციელის დღეს მიულოცავს და პირადად დააჯილდოვებს მოქმედ პოლიციელებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანებს.

ლომ წარმოადგინა მოძრავი ლაბორატორია და ადგილზე მოენწყობა ჰაბიტოსკოპიური (პიროვნების სახით ამოცნობა) და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის (თითის ანაბეჭდების აღება) დემონსტრირება, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტმა გამოფინა თოვლმავალი და სადეკონტამინაციო კარავი, სადაც წარმოდგენილია ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობა.

წევნება, სამაშველო, გასაბერი, საევაკუაციო ბალიშის გამოყენების დემონსტრირება.

© აკაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანები ნაცემოდრობას გაუხსნია. ეს სასიამოვნო ამბავი, ეს-უესაა, გიორგი ბარამიძემ განაცხადა.

ადვოკატ ზაქარევილის შემყურე ვამბობ: მაპ-ის ღირსი ხარ, შენ, საქართველო! NATO-ში ვავა! გიორგი უგულავას, თუ მოახერხა 4 დღით თბილისის მერად დაბრუნება, განზრახული ჰქონია, მტკვარს შეუცვალოს კალაპოტი და გაუშვას შემოვლითი გზით, „ჩერებ“ გლდელა-ფონიჭალა!

აღვივებული და ახლა თვითონ აღარ ელაპარაკებიან! „გასაფუჭებული კიდეგ ბევრია, ერთად გამოვხრათ საქართველო!“ სლოგანი ქოცნაცური ალიანსისათვის.

© ალიანსალიანი

ზუბდიღში დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთს ჰკვები დაუშინეს

ზუბდიღში „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან დაპირისპირება გრძელდება. გუშინ ოფისში მყოფმა პირებმა და აქციის მონაწილეებმა ერთმანეთს ჰკვები დაუშინეს. არსებული ინფორმაციით, რამდენიმე ადამიანი დაკავებულია.

ნათქვამია, რომ თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ოფიცერი პაატა ქარდავა მოკლულია. პაატა ქარდავას ოჯახის წევრების განცხადებით, შესაძლოა მკვლელობასთან თენგიზ გუნავასაც ჰქონდეს კავშირი.



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის „06“ ივნისის № 101 ბრძანების დანართი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 3(სამი) წლის ვადით იჯარის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემაზე პირობიანი აუქციონის შეესახება

თელავის მუნიციპალიტეტი 3(სამი) წლის ვადით, იჯარის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით აცხადებს პირობიან აუქციონს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ლოტის #	ქონების დასახელება და მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე შენობის (ზაგა-ზალი) პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი თავისუფალი ფართი	28.3	53.08.40.050	822	247	83	50

- სააუქციონო პირობები:
 - აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს სახელოვნებო სტუდიის მოწყობა;
 - აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:
 - ვალდებულების აღება სააუქციონო პირობის დაკმაყოფილებაზე;
 - მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას, ბიჯის გათვალისწინებით.
- აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები:

ა) აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

4. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

- განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, საიჯარო ქონების დასახელებას, საწყის საიჯარო ფასს და მონაწილის თანხმობას გამოცხადებულ პირობების შესრულებაზე;
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე, მიმღების დასახელება: თელავის მუნიციპალიტეტი, ა/ა-GE85VT2900000000113303, მიმღები ბანკის დასახელება: ს.ს. „ვითიბი ბანკი“-ს თელავის ფილიალი, ბანკის კოდი UGEBGE22.
- მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მონაწილის ბილეთის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშის ნომერზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ა/ა 200122900 ბ.კ. TRESGE22 სახაზინო კოდი 300513282.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2014 წლის 13 ივნისამდე 10⁰⁰ საათიდან 17⁰⁰ საათამდე სამუშაო დღეებში, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10⁰⁰ საათიდან 13⁰⁰ საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 13 ივნისს 14⁰⁰ საათზე. მისამართი ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16, საკონტაქტო ტელეფონი: 0(350) 27 13 35

საკრებულოს თავმჯდომარე
ლიმიტრი ბოჭორიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის „06“ ივნისის № 102 ბრძანების დანართი

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 3(სამი) წლის ვადით იჯარის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემაზე პირობიანი აუქციონის შეესახება

თელავის მუნიციპალიტეტი 3(სამი) წლის ვადით, იჯარის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით აცხადებს პირობიან აუქციონს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ლოტის #	ქონების დასახელება და მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ყოფილი ამბულატორია) არსებული არასაცხოვრებელი თავისუფალი ფართი	77.8	53.03.39.042	1127	339	113	50

- სააუქციონო პირობები:
 - აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს სახელოვნებო სტუდიის მოწყობა.
 - აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:
 - ვალდებულების აღება სააუქციონო პირობის დაკმაყოფილებაზე;
 - მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას, ბიჯის გათვალისწინებით.
- აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები:

ა) აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან ამ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

4. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

- განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, საიჯარო ქონების დასახელებას, საწყის საიჯარო ფასს და მონაწილის თანხმობას გამოცხადებულ პირობების შესრულებაზე;
- „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე, მიმღების დასახელება: თელავის მუნიციპალიტეტი, ა/ა-GE85VT2900000000113303, მიმღები ბანკის დასახელება: ს.ს. „ვითიბი ბანკი“-ს თელავის ფილიალი, ბანკის კოდი UGEBGE22.
- მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მონაწილის ბილეთის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშის ნომერზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ა/ა 200122900 ბ.კ. TRESGE22 სახაზინო კოდი 300513282.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამენარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2014 წლის 13 ივნისამდე 10⁰⁰ საათიდან 17⁰⁰ საათამდე სამუშაო დღეებში, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10⁰⁰ საათიდან 13⁰⁰ საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 13 ივნისს 15⁰⁰ საათზე. მისამართი ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16, საკონტაქტო ტელეფონი: 0(350) 27 13 35

საკრებულოს თავმჯდომარე
ლიმიტრი ბოჭორიძე

რეკლამა **გ. ახვლედიანის ქ. №19.**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

საოჯახო ალბომი

„ლეონარდო და ვინჩიმ მასწავლა დროის სიღრმიდან ფიქრი და შექმნების სიყვარული“...

„ღმის ვნახე ბანა და ეს იყო უდიდესი შთაბეჭდილება, წარმოუდგენელი ემოცია, ტკბილ-მწარე ერთდროულად... დროში მოგზაურობა სრულიად რეალურად, ნანგრევებში წინაპრების სიცოცხლის სიბოძის, წარსულის და აწმყოს, სახეების და გულების ფეთქვის შეგრძნება. უდიდესი სევდა დაკარგულის გამო, იმედი მომავლის და დროის უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ადამიანს თავის სამშობლოსთან განუყოფლად აკავშირებს. ნანგრევები იყო ცოცხალი, დანგრეული და ცოცხალი... თითქოს სისხლი და ხორცი ფეთქავდა თბილი, ნერვებით გადაქსელილი, საკუთარი, საყვარელი... ნანგრევებში იყო უკვდავება და მართლა ვიგრძენი, რომ ამ ნანგრევების შვილები ვართ ჩვენ. იმ შეგრძნებას, რაც იქ იყო, ვერც სიტყვა და ვერც სურათი ვერ გადმოსცემს... წერს მწერალი და ლიტერატორი ინგა მფორავა ფეისბუქის გვერდზე, სადაც ტაო-კლარჯეთში გადაღებული ფოტოები აქვს განთავსებული. დღეს ინგა მფორავა ჩვენი რუბრიკის „საოჯახო ალბომის“ სტუმარია.

– ბაბისძეოთი თქვენი წინაპრები, დიდი ბებია და ბაბუა... ბებუბის ძმები, როგორც ვიცი, 1924 წლის ამბებს შეენიერნენ...

– ბებია აბულაძე იყო. ქუთაისში ცხოვრობდნენ, როგორც ვიცი, ჯერ უფროსი, სერგო დააბატიმრეს და მოკლეს, რამდენ...




ბაბისძეოთი – აბულაძეები

ნიმე საათში კი 19 წლის გოგი, რომელმაც დაიფიცა, რომ შურს იძიებდა. როცა ამ ამბავს ბებია მიყვებოდა, უფრო, სწორად ბებია (ისიც ამათი და იყო), მე შედარებით პატარა ვიყავი და თან 24 წლის აჯანყებაც, მისი საოცარი მნიშვნელობაც არ იყო მაინცდამაინც გასაგები ჩემთვის, თორემ უფრო დაწვრილებით ვკითხავდი თარიღებს, სახელებს, დავიმახსოვრებდი. როგორც მახსოვს, იმ ბოლშევიკის გვარსაც ამბობდა, რომელიმაც უშუალოდ მიიღო მათ განადგურებაში მონაწილეობა, მაგრამ ვერ დავიმახსოვრე. არადა, ჩემი ბებია ისე ცხინტერესოდ მიყვებოდა ძველი ქუთაისის ცხოვრებაზე, ახსოვდა, როგორ შემოვიდნენ რუსები, როგორ დადიოდნენ ქალაქში ჯარისკაცები, როგორი იყო თეატრი, ბულვარი, დანგრეული სობორო. მოკლედ, უამრავი ამბავი მაქვს მოსმენილი, ჩემთვის მაშინ ანდერსენის ზღაპრებივით ფერადოვანი იყო ეს ამბავები, ცხოველებზეც, ნადირობაზეც, დიდ სიყვარულზეც, ქალაქის სიცოცხლეზეც, აჯანყებაზე, შეთქმულების ღამეულ შეხვედრებზე... რამხელა ტრაგედია იდგა ამ თხრობის ფერადი ნამსხვრევების იქით, ახლა ვაცნობიერებ. ბებიაჩემი ამბობდა, რაც ხდება, ყველაფერი უკეთობისკენ ცვლის ცხოვრებას,

უარსობისკენ არადროსო. ამიტომ არასოდეს არაფრის შეგვიძინდა, არ ჩაქრეს შუქი შენშიო. ეს სიტყვები სულ ყურში მეღვა ბნელ 90-იანებში... მინდა მჯეროდეს, მაგრამ... მაგრამ... როგორი იყო ის თაობა, საოცარი. რამდენი ტანჯვა-წვალება, ისტორიის ელექტროტალღების როგორი დარტყმები გადაიტანეს და ბოლომდე როგორები იყვნენ, როგორც სუფთა ჰაერი... თქვენს ცხოვრებაში გამორჩეულია ყურნალ „ომეგაში“ მუშაობის წლები. მოგიყვებით იმ შეხვედრებზე... ომეგაში მუშაობა ჩემთვის ძალიან დიდი სიამოვნება და ბედნიერება იყო. არაჩვეულებრივი გარემო გვქონდა. რედაქტორი როსტომ ჩხეიძე, ქმნიდა მაშინ ამ განწყობას და ახლაც ქმნის უკვე „ჩვენი მწერლობის“ რედაქციასა და ლიტერატურულ სალონში. ამ სალონში უამრავ ადამიანს შეხვედრი, მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, ჩეთვის მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ნუგზარ შატაიძისა და მაკა ჯოხაძის გვერდით ვმუშაობდი, მქონდა საშუალება, დროდადრო შევხვედროდი ბატონ ოთარს, დიდ ოთარ ჩხეიძეს და რომ აქ ერთად ვიყავით და ვმეგობრობდით ნინო ჩხიკვიშვილი, ხათუნა ალბაზიშვილი, ირაკლი ლომოური... საოცარი წლები იყო, შემოქმედებითი სიბრალულით, მომავლის იმედით, მეგობრობით სავსე. ვინ დატოვა გამორჩეული კვალი თქვენს ცხოვრებაში? ჩემს ცხოვრებაში გამორჩეული კვალი დატოვეს დედამ – ნელი თაბაგარმა, ბებიადამ – ვინლინა აბულაძემ და... ლეონარდო და ვინჩიმ. კი, საოცარია, მაგრამ ამ ადამიანმა მასწავლა დროის სიღრმიდან ფიქრი და შექმნების სიყვარული. დედათქვენი თქვენთვის ძვირფასი ადამიანი იყო... მას ლექსები, ნახატები მიუძღვეს... დედაჩემი ჩემთვის ამ წუთსაც ყველაზე ძვირფასი ადამიანია. რას გაიხსენებო, ეს კითხვა ჩემთვის მტკივნეულია. ვისხენებ – არა, სულ მახსოვს. დედაჩემმა პეტრიაშვილის ქუჩაზე №1 ქალთა სკოლა დაამთავრა, მერე – ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი უნივერსიტეტში. მუშაობდა კონსერვატორიაში, ინგლისურ ენას ასწავლიდა. და ჩემი დედიკო



ყო... წარმოუდგენლად კარგი დედა. სა-მართლიანი, თბილი, ქვიანო, ძლიერი. ლამაზი ქალი იყო, ბევრი განსაცდელი გამოიარა, თავის თავზე აიღო ჩვენი ოჯახის, ჩემი ბებიების პატრონობა: და გაუძლო, თან ღირსეულად. მახსოვს ძველი, ანტიკვარად ქცეული ტელევიზორი ბებიანჩემის სახლში. ჩემს ბავშვობაშიც არ მუშაობდა უკვე. თოჯინას ერქვა ქეთი და ყოველ ადგომას ვაცხობდით ცხვარს...“



დედასთან ერთად

დედა კიდევ არ მჯერა, რომ კარს გავაღებ, შემოვალ სახლში და არ დამხვდები, კიდევ არ მჯერა, რომ არასოდეს მეითხავ არაფერს და არც მომიხმენ, არც მომიყვები არასოდეს აღარაფერს, ვერც გაიხარებ ვერაფრით ჩემით. საღამომით აღარასოდეს ვისაუბრებთ და არ იქნება ხმა ტკბილი, თბილი. კიდევ არ მჯერა, რომ ტელეფონში შენი სახელი არ იწერება და მე ვერ გეტყვი: კარგადა ვარ და მალე მოვალ. კიდევ არ მჯერა, რომ ვერასოდეს გამომიცხობ ანი საჭაპურს და ვერც ჩემს ნაწერს წაიკითხავ ისე, როგორც მხოლოდ შენ თუ შეგძლო – უსაზღვრო გულით. ასე მგონია, სიზმარია და დამთავრდება ერთხელაც უცებ და ისევე დაბრუნდება ყველაფერი: სიმშვიდე, სავსე, და უსაფრთხო თეთრი დღეები, ზრუნვა და ფიქრი. ისევე მგონია, მელინა, როცა გარეთ ვარ და მინდა ჩქარა მოვიდე შენთან. კიდევ არ მჯერა, რომ კარს გავაღებ, შემოვალ სახლში და არ დამხვდები.

გულიდან ამოახილი

მართლს ვიტყვი...

რა მოვასწავნას!
ვიდრე ჩავიტანთ ცოდვის მენყერი, რა მომასვენებს, რა გამახარებს, გული მერევა, როცა შეგცქერით ნამუსგარეცხილ ტაკიმასხარებს.
ქონებით გაქონილი
ისე ძალიან გაქონდა, ისე ძალიან გადიდდა, მუცელი ძლივას დაჰქონდა, გაიბღინა და განდიდდა.
რაც კი შეეძლო, გაჰქონდა, რაც კი შეეძლო, გაყიდა, სინდის-ნამუსი არ ჰქონდა, თორემ იმასაც გაყიდდა.
* * *
ისეთი სისტემა მკვიდრდება, მდიდარი სულ უფრო მდიდრდება, ის კი, ვინც ყველაფერს „ქაფავს“, ვაი, რომ სულსაცა ღაფავს.
არავითარი!
ბევრი ბანდიტი თუა მდიდარი, სიკეთეც ბევრი იქნება? არავითარი, არავითარი! რაცა გვაქვს, ისიც გვიქრება.
ვაი, ჩვენს პატრონს!
სავალალოა დღეს ჩვენი ყოფა, თავი აღარსად გამოგვეყოფა, ქართველი კაცი ლუკმაპურს ნატრობს, ვაი, ჩვენს პატრონს!
* * *
„ძველ დროს“ ასეთი არა ხდებოდა, ხალხი შიმშილით არა კვებოდა, არა, არა ხართ, ხალხო, მართალი, შემირცხვინია ეგ სამართალი!
* * *
ვინც ცალ-ცალ კალოშით ჩამოსულ იყავით, ნეტავი სულაც არ ჩამოსულიყავით.
თუ გნამთ ღმერთი
„ძველად“ ჯობდა, თუ გნამთ ღმერთი, თავი გამოგვეყოფოდა, საამაყო მართო ქართველობა გვეყოფოდა.
დღეს და გუშინ „ბედნი ერი“, სიმწრისაგან მეცინება, ისე წახდა ყველაფერი, ქართველობა მერცხვინება.
თავისუფლება
თავისუფლება ის არის, განა, რომ გაიყიდა მთელი ქვეყანა, რომ ავკაცების აზრის ზეობა, ყვავის სიბილნე და უზეობა?
* * *
თავისუფლად ყოფნა მოვა, როცა სულში უფალია, თორემ ისე არ გამოვა, გიჟიც თავისუფალია!
ზურაბ სუმერიქის
(გაზეთ „საპარტოლო რესპუბლიკაში“ №78, 18.04.2014 წ. გამოქვეყნებული მისი სტატიის „გზა მოგავლისა“ გამო)
თქვენს სტატიას, ჩემი ზურაბ, მოვანერდი ორივე ხელით, მოგეხვით, მინდა, ძმურად, დაგელოცოთ გვარ-სახელი.
„განათლებულ ბრიყვთა“ ბოღმას და მათ ქირქილს რას დავეძებ, უდავოა მათი ყოფნა ისტორიის სანაგვეზე!
რამ დაგაგლახა
რამ დაგაგლახა, ხალხო, ქართველო, განა ეს იყო შენი მისია? მართალი უთქვამთ, ეს საქართველო ლაფის კი არა, მეტის ღირსია!
გურამ ჭავჭავანიძე
01.06.14.

ახალი სახე

ისევ ჩხურ მოპიპეზა

უკვე გაუწყეთ, რომ 49 წლის ჩხე სპეციალისტის მიხალ ბილევის სახით თბილისის „დინამოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, რომელსაც ასისტენტობას თანამემამულენი იარომირ ჟინდრეჩიკი და მარსელ ლიჩკა გაუწყვენ.

სადარბაზო ბარაბი

მისალ ბილევმა სამწვრთნელო მოღვაწეობა „ტეპლიცეში“ დაიწყო. იყო ჩხეთის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი. გუნდი მისი ხელმძღვანელობით 2003 წელს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორი გახდა.



მისალ ბილევს

საფეხბურთო კარიერის მანძილზე მისალ ბილევს ასპარეზობდა ესპანურ „რეალ ბეტისში“, უიჯოვის „ვიქტორიაში“ და „ტეპლიცეში“. იყო ჩხოსლოვაკიისა და ჩხეთის ნაკრების წევრი, გამოდიოდა 1990 წლის მუნდიალზე.

რაც შეეხება უახლოეს პერსპექტივას, დილმის საწვრთნელ ბაზაზე ახალი სეზონისთვის მზადებას დინამოელები 1 ივნისიდან შეუდგნენ.

გუნდი 10 ივნისს თურქეთში მისი კურორტ კარტავეში გაემგზავრება, 24 ივნისიდან 8 ივლისამდე კი ჰოლანდიაში მოემზადება.

მანუარ ბიორბაძე

სტუმარი

ლთარ გათამაშე კალიან მისარია, როდესაც ასეთი ბელნიერი სხელებით მოთამაშე ბავუბებს ვხედავ!

ბერმანის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერის“ ყოფილი კაპიტანი ლთარ მათეუსი, რომელიც საქართველოში კომპანია „ზედაზენის“ მონაწილეობით იმყოფება, გუნდს საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ წევრია.



— თუ გასოვთ თქვენი პირველი სტუმრობა თბილისში 1979 წელს გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს შეხვდით?

— ეს, ალბათ, 80-იანი წლები იყო... ბოლო 35 წლის განმავლობაში ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა და ყველაფერი არ მახსოვს. მაშინ საქართველოს შესახებაც არ ვიცოდი. მახსოვს, ვითამაშე, მაგრამ 1979-ში იყო თუ სხვა წელს, არ მახსოვს.

— როგორ გაიხსენებდით 1999 წლის უფას ჩემპიონთა ლიგის ფინალს, როდესაც „ბაიერში“ თამაშობდით და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩის დამატებულ წუთებზე გაშვებული ორი გოლით დამარცხდით?

— ასეთია ფეხბურთი. იგივე მოხდა წელს გამართულ ფინალშიც, როცა „ატლენტიკომ“ ბოლო წუთზე გაუშვა გოლი, რომელიც საბოლოო ჯამში გადაამწყვეტი აღმოჩნდა.

— თბილისში ბიზნეს-სექტორი საბავშვო სპორტში უფრო მეტი ინვესტიციის ჩადებას თუ აპირებს? მასივ სულსანიშვილი („ზედაზენის“ გენერალური დირექტორი): „ჩვენი კომპანია მზადაა, შესაძლებლობის ფარგლებში ქართულ სპორტს დაეხმაროს.

ვიტალი ჯაფარიძე

„მუნდიალი – 2014“

ახლოა ბრაზილიამდე



მაშ ასე, რამდენიმე დღეც და ყავის სამშობლო მთელი საფეხბურთო სამყაროს მიზიდულობის ცენტრად იქცევა.

სიმბოლურია, რომ საიუბილეო – XX მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი პლანეტის ყველაზე ტიტულოვან ქვეყანას ხვდა წილად, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ბრაზილია სანუკვარ ფორუმს ლარიბ-ლატაკი მოსახლეობის საპროტესტო აქციებით ეგებება.

ბუნებრივია, დამდეგ მოვლენასაც ჰყავს ფავორიტები (უპირველესად, რასაკვირველია, „პენტა კამპეონები“, მოქმედი გვირგვინოსანი ესპანეთი, გერმანია, არგენტინა, ურუგვაი, ჰოლანდია, იტალია) და აუტსაიდერები, თუმცა ნურც სიურპრიზებს გამოვიციხვებით, მაგალითად, ბელგიელთაგან, რომელთაც უნიჭიერეს მოთამაშეთა თაობა ჰყავთ.

არანაკლებ საინტერესოა, ამჯერად მაინც თუ გატყდება ნავსი – მოგესხენებათ, „მუნდიალების“ ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ევროპული ნაკრების სამხრეთ ამერიკაში გამარჯვების შემთხვევა. ვინ იცის, იქნებ წლეულს მოიპოვოს ძველი სამყაროს რომელიმე წარმომადგენელმა საამაყო ნოდება.

კალენდარი.

- „ა“ ჯგუფი. 12 ივნისი. 24.00. ბრაზილია – ხორვატეთი. 13 ივნისი. 20.00. მექსიკა – კამერუნი. 17 ივნისი. 23.00. ბრაზილია – მექსიკა. 19 ივნისი. 02.00. კამერუნი – ხორვატეთი. 24 ივნისი. 24.00. კამერუნი – ბრაზილია ხორვატეთი – მექსიკა. „ბ“ ჯგუფი. 13 ივნისი. 23.00. ესპანეთი – ჰოლანდია. 14 ივნისი. 02.00. ჩილე – ავსტრალია. 18 ივნისი. 20.00. ავსტრალია – ჰოლანდია. 23.00. ესპანეთი – ჩილე. 23 ივნისი. 20.00. ავსტრალია – ესპანეთი ჰოლანდია – ჩილე. „გ“ ჯგუფი. 14 ივნისი. 20.00. კოლუმბია – საბერძნეთი. 15 ივნისი. 05.00. კოტ დივუარი – იაპონია. 19 ივნისი. 20.00. კოლუმბია – კოტ დივუარი. 20 ივნისი. 02.00. იაპონია – საბერძნეთი. 25 ივნისი. 24.00. იაპონია – კოლუმბია. საბერძნეთი – კოტ დივუარი. „დ“ ჯგუფი. 14 ივნისი. 23.00. ურუგვაი – კოსტა რიკა. 14 ივნისი. 02.00. ინგლისი – იტალია. 19 ივნისი. 20.00. ურუგვაი – ინგლისი. 20 ივნისი. 20.00. იტალია – კოსტა რიკა. 24. ივნისი. 20.00. იტალია – ურუგვაი. კოსტა რიკა – ინგლისი. „ე“ ჯგუფი. 15 ივნისი. 20.00. შვეიცარია – ეკვატორი. 23.00. საფრანგეთი – ჰონდურასი. 20 ივნისი. 23.00. შვეიცარია – საფრანგეთი. 21 ივნისი. 02.00. ჰონდურასი – ეკვატორი. 26 ივნისი. 24.00. ჰონდურასი – შვეიცარია. ეკვატორი – საფრანგეთი. „ვ“ ჯგუფი. 16 ივნისი. 23.00. ირანი – ნიგერია. 02.00. არგენტინა – ბოსნია. 21 ივნისი. 20.00. არგენტინა – ირანი. 22 ივნისი. 02.00. ნიგერია – ბოსნია. 25 ივნისი. 20.00. ნიგერია – არგენტინა. ბოსნია – ირანი. „ზ“ ჯგუფი. 16 ივნისი. 20.00. გერმანია – პორტუგალია. 17 ივნისი. 02.00. განა – აშშ. 21 ივნისი. 23.00. გერმანია – განა. 23 ივნისი. 02.00. აშშ – პორტუგალია. 26 ივნისი. 20.00. აშშ – გერმანია. პორტუგალია – განა. „თ“ ჯგუფი. 17 ივნისი. 20.00. ბელგია – ალჟირი. 18 ივნისი. 02.00. რუსეთი – კორეა. 22 ივნისი. 20.00. ბელგია – რუსეთი. 23.00. კორეა – ალჟირი. 27 ივნისი. 24.00. კორეა – ბელგია. ალჟირი – რუსეთი. მერვედფინალები. 28, 29, 30 ივნისი, 1 და 2 ივლისი. მეოთხედფინალები. 4, 5 და 6 ივლისი. ნახევარფინალები. 9 და 10 ივლისი. მატჩი III ადგილისთვის და ფინალი. 13 ივლისი.



„მარაპანა“ ფინალს უმასპინძლებს

ტო (პოლონეთი), ლინეკერი (ინგლისი), რანი (გერმანია). ქალაქები და სტადიონები რიო დე ჟანეირო. მარაკანა (76535), ბრაზილია. ნაციონალური სტადიონი (70042). სან პაულუ. არენა დე სან პაულუ (68000). ფორტალეზა. ესტადიო კასტელაო (64846). ბელუ ორიზონტი. ესტადიო მირეილიაო (62547). სალვადორი. არენა ფორტენოვა (56000). პორტუ ალეგრი. ესტადიო ბეირა რიო (51300). რესიფე. არენა პერნამბიკო (46154). კურიტიბა. არენა დე ბაიკარდა (43981). კუიბა. არენა პარტარალი (42968). ნატალი. არენა დას დიასი (42086). მანაუსი. ამაზონია (39118). ყველა ფინალი 1930. ურუგვაი – არგენტინა 4:2. 1934. იტალია – ჩეხოსლოვაკია 2:1 (დ. დ.). 1938. იტალია – უნგრეთი 4:2. 1950. ურუგვაი – ბრაზილია 2:1. 1954. გერმანია – უნგრეთი 3:2. 1958. ბრაზილია – შვედეთი 5:2. 1962. ბრაზილია – ჩეხოსლოვაკია 3:1. 1966. ინგლისი – გერმანია 4:2 (დ.დ.). 1970. ბრაზილია – იტალია 4:1. 1974. გერმანია – ჰოლანდია 2:1. 1978. არგენტინა – ჰოლანდია 3:1 (დ. დ.). 1982. იტალია – გერმანია 3:1. 1986. არგენტინა – გერმანია 3:2. 1990. გერმანია – არგენტინა 1:0. 1994. ბრაზილია – იტალია 0:0 (პენ. 3:2). 1998. საფრანგეთი – ბრაზილია 3:0. 2002. ბრაზილია – გერმანია 2:0. 2006. იტალია – საფრანგეთი 1:1 (პენ. 5:3). 2010. ესპანეთი – ჰოლანდია 1:0 (დ.დ.).

ბიორგი შოთაძე

ინფორმაცია

თავი წულუკიანი პოლიტიკურ პარტიებს ავრთხილებს

უწყებამთავრობის კომისიის ხელმძღვანელი, იუსტიციის მინისტრი თავი წულუკიანი პოლიტიკურ ძალებს მოუწოდებს, იმოქმედონ სახელმწიფოებრივი მიდგომებით, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით და სახელმწიფო რეგიონებში.



თავი წულუკიანი უწყებამთავრობის კომისიის დანყოფინას მარნეულში განვითარებული მოვლენები დაგმო და განაცხადა, რომ მსგავსი ქმედებები იქნება ალკვეთილი და განსაკუთრებული სიმკაცრით დასჯილი. - კომისიის სახელით და როგორც იუსტიციის მინისტრმა, ერთმნიშვნელოვნად მიიღო დაგმო ის ფაქტი, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ რაიონში ხუთშაბათს მოხდა.

ძალადობისგან, აგრესიისგან. პოლიტიკურ პარტიებს, იქნება, ის მმართველი ძალა თუ ოპოზიციური პარტია, ყველას გვაკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე, განსაკუთრებით იმ რეგიონებთან დაკავშირებით, სადაც სხვადასხვა ეთნიკური მოქალაქეები ცხოვრობენ.

ყველა კომპანიის კვალი, რომელიც ბოლნისში კვირვას ლითონებს მოიპოვებს, ოფორმულ კომპანიად იქნება

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს საყდრისი-ყაჩაღიანის შესახებ კვლევის შედეგები გააცნო.

როგორც ურნალისტებთან საუბრისას კვლევის ავტორმა, საია-ს იურისტმა, სულხან სალაძემ განაცხადა, მან კვლევა ორი მიმართულებით აწარმოვა, კერძოდ, საყდრისი-ყაჩაღიანის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსთან და აღნიშნულ ტერიტორიაზე კომპანიებზე გაცემულ ძვირფასი ლითონების მოპოვების ლიცენზიებთან დაკავშირებით.

კვლევის ავტორის განცხადებით, ბოლნისში ძვირფასი ლითონების მოპოვების უფლება 5 კომპანიას აქვს, მათ შორის არის RMG ჯგუფი. მისივე თქმით, ამ კომპანიის უკან ოფორმულ ზონაში, კვიპროსში დარეგისტრირებული Pamtilon Holdings Limited დგას. მისივე თქმით, საია-მ კვლევის შედეგად ვერ დაადგინა, თუ ვინ არის კომპანიის მფლობელი.

სალაძემ. მისივე თქმით, 2014 წლის აპრილის თვეში RMG Gold-ს გაუგრძელდა ლიცენზიის მოქმედება, რომელიც მას აპრილში უთავდებოდა. ამ ლიცენზიის გაგრძელებით კომპანიას უფლება ეძლევა, მოიპოვოს ნიაღვისეული, მათ შორის საყდრისი-ყაჩაღიანში. თუმცა, ერთადერთ დაბრკოლებას წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, RMG GOLD-ს საყდრისი-ყაჩაღიანში ოქროს მოპოვება შეუჩერდა.

დარიალის ხეობაში მუშაობა გახიზნა

დარიალის ხეობაში არსებულ სიტუაციაზე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს. სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ გუშინ დედოფარკის ხეობაში განთავსებულმა სისტემური დაკვირვების



პუნტმა მყინვარზე მცირე სიძლიერის სეისმური ბიძგები აღწუსა.

- ამ დრომდე, დამწყობი ტერიტორიაზე, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, 170 პირი იმყოფებოდა ადგილზე ჩავიდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები. ნებისმიერი გართულების თავიდან აცილების მიზნით, საგანგებო შტაბმა სამუშაოების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე, შესაბამისი სპეციალისტები მყინვარზე მიმდინარე პროცესებს აკვირდებიან. დარიალის ხეობაში ევაკუაცია გამოცხადდა. სტიქიის ზონაში მომუშავე მუშებმა ტერიტორია უკვე დატოვეს.

განცხადება
სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ აქციონერთა საერთო კრება შესამედ დანიშნულია 2014 წლის 17 ივნისს დღის 11 საათზე.
დღის წესრიგი:
1. 2013 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.
სს „ყვარლის“ აღმინისტრანია მისამართი: ქ. ყვარელი ქაჯკავაძის №72.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306' მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჯემალ ბეჟანიშვილის და კახაბერ ჩადუნელის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.
აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ჯემალი ბეჟანიშვილი (პირადი №13001042203), მის: გურჯაანი, სოფელი მელაანი;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: გურჯაანი, სოფელი მელაანი, „სატრაქტორო პარკი“ (საკადასტრო კოდი: 51.17.57.052);
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
2. უძრავი ნივთის მესაკუთრე: კახაბერ ჩადუნელი (პირადი №01004002801), მის: ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი, კორპუსი 2, ბინა №49;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი, კორპუსი 2/სარაჯიშვილის გამზირი, კორპუსი 2, მე-3 სადარბაზო, მე-2 სართული, ბინა №49 (საკადასტრო კოდი: 01.11.03.008.003.01.049);
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით;
3. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ფასი: 111966.42 ლარი, პლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური - 4478.65 ლარი;
4. აუქციონის დაწყების დრო: 2014 წლის 19 ივნისი, 15:00 საათი;
5. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;
6. მოვალე: ჯემალი ბეჟანიშვილი (პირადი №13001042203), მის: გურჯაანი, სოფელი მელაანი;
7. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;
8. აუქციონის პირობები:
● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“;
● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის დიკრეტული უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2014 წლის 19 ივნისის, 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუსუყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვანლმოსილი თანამშრომელი, საინჟინრო-ტექნიკური განყოფილების უფროსი
ადიუარ ჩიქოვანი
და სამიძმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
299-62-77;
599 32-85-76.

ღვთისმეტყველება

სულიერ ფენობა

წმიდა საბაის ღვთისმეტყველება

8 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდ საუფლო ღვთისმეტყველებს...

მუნოების, უგუნურობისა და უღმრთოების წყვილია. ქრისტიანობა სულიწმინდის მადლითა და მისი მოპოვებით განისაზღვრება.



ვით იმყოფებოდნენ. ყოველდღიურად მათ ლოცვას ქრისტეს მორწმუნეები უერთდებოდნენ.

ბით გამოირჩევა. ტაძარსა და ეკლესიაში ყვაველთა და ბალახეულთა მოფენით მადლის გადმოსვლა ხდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „...ოქრომ რომ ბრწყინვა დაინყოს, ათასგვარი მინარევისგან უნდა გასუფთავდეს ცეცხლში გამოწითობით, ადამიანის სული რომ ცოდვისგან განწმინდოს, ცხოვრებისეულ ქურაში უნდა გამოიწვას ღვთაებრივი ცეცხლის ზემოქმედებით.

...დიდი ღვთისმეტყველების ერთ-ერთი დღესასწაულია - ერგასის დღეს ღვთისმშობელი ყველა მოციქულთან ერთად სიონის ქოხში იმყოფებოდა და ნუჯემის-მცემელი სულის მისაღებად ლოცვით ემზადებოდნენ.

სულიერ ფენობის ღვთისმეტყველება ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა!

„...მართლაცდა საოცარია მადლი ამ ზეციური ღვთისმეტყველებისა!“ სულიერ ფენობის ღვთისმეტყველება, წესისამებრ, წირვის დასრულების შემდეგ მუსლიმდრევის ლოცვები იკითხება.

გიული ლიპარტიანი

ჩვენი კარგადინი

ბაბანამატი ტკივილებმა ზურგში და პარკებმა თვალს ქვეშ? შეეცადეთ, დაიძინოთ სხვა პოზაში!

ზურგზე

სპეციალისტების აზრით, ზურგზე წოლა ძალიან სასარგებლოც კია: წელი და კისერი დაძაბული არ არის, ხელები და ფეხები მოდუნებულია.

მოეზადეთ ღამისთვის

რომელ პოზაშია ყველაზე სასარგებლო ძილი



ჭიმულებს სიმკვრივით, ეს მიუთითებს ჯიუტ, მბრძანებელურ ხასიათზე და იმის უნარობაზე, რომ მოვდუნდეთ თუნდაც ძილის დროს.

მუცელზე

აი, ძილს კი მუცელზე მეტნიერები არ იწონებენ. ასეთი

პოზა მიესადაგება მხოლოდ მათ, ვისაც აწუხებს მეტორიზმი (შემთხვევითი როდია, რომ პატარა ბავშვებს, როდესაც მათ ჭვავი აწუხებს, მუცელზე აწვენენ) და ქალებს მშობიარობის შემდეგ - ეს ხელს უწყობს საშვილოსნოს დაბატარაებას.

მაგრამ მთლიანად „მუცლის“ ძილი სასარგებლო არ არის. ბალიშის იქით ვერ სუნთქავ, და გინევს თავის მობრუნება გვერდით. შედეგად იძაბება კისრისა და მხრების კუნთები, უარესდება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევა, რასაც თავის ტკივილთან, მოდუნებასთან და დამტკიცებელ გრძობებთან მიეყვარება. თანაც სახის ქსოვილები ვერ ღებულობენ ჟანგბადს საჭირო ოდენობით, რასაც თვალს ქვეშ „პარკების“ წარმოქმნასთან მიეყვარება.

თანხმობა ფაქტი

სიზმრის შინაარსი დამოკიდებულია პოზაზე, რომელზეც ადამიანს ძილავს. გამოკვლევამ, რომელშიც 670 კაცმა მიიღო მონაწილეობა, აჩვენა, რომ ღამის კოშმარები სწორედ სდევს მათ, ვისაც მუცელზე სძინავს. ამის მიზეზი, როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, - ძილის დროს გაძნელებული სუნთქვაა.



კადრი



რეკლამა

ბ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

ბუშინ ჩემთან მეზობელი მამაკაცი შემოვიდა, - ეუბნება დაშა დაქალს, - იქნებ რამე მაქამოო. მაშინვე გავაწყე სუფრა, სალათა, შემწვარი კარტოფილი, ძეხვი... ყველაფერი შეჭამა, მართლაც ნაშეიბა!

მადლობა მაინც თუ გითხრა? - რა თქმა უნდა! ის უნდა გითხრა, რომ ასეთი დიდი მადლობა ჯერ არავის ჰქონია..

მომუხ, ადრე ბინაში უამრავი სხვადასხვანაირი ყვავილი გქონდათ, ახლა კი მარტო კაქტუსები გიდგათ. რატომ? - წყლის მრიცხველები დაგვიყენეს და...



როდისაც ქალს სხვაზე არაფერზე აქვს დასაჯდომი, იგი დიეტაზე ჯდება.

რითი განსხვავდება ქალი ძუ დათვისგან? ძუ დათვი გაზაფხულსა და ზაფხულში ქონს იგრძობებს, ზამთრობით კი მას წვავს. ქალი პირიქით იქცევა.

რომორ გახდით მილიონერი? - ეკითხება ბიზნესმენი.

- ცოლის წყალობით. - ?!! - მაინტერესებდა, როდის მიატოვებდა იგი წუნუნს ფულის უკმარისობაზე.

ავტორთა საპურადლოვად! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA ბ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკიანის) ქ. 19

გამომცემლობა: შპს „თანადგომი“-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექს ალანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსნი 599 17-21-21; საბარტაძე მოხუცი 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24